განკარგულება:**g-81.8122152001**
თარიღი:**01/06/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №29

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2022 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის და 50-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა. (დანართი №1 თან ერთვის).

2. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა. (დანართი №2 თან ერთვის).

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი